ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №68

CPV: 39294100 - საინფორმაციო და სარეკლამო პროდუქცია

ქ. თბილისი 24 სექტემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ ერთის მხრივ ს.ს.ი.ჰ. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი - რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ჯემალ ძაგანიას სახით და მეორეს მხრივ, შპს Creative Group, მისი დირექტორი ავთანდილ სურმავას სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1. ხელშეკრულების საგანია, **სახელმწიფო ბიუჯეტის_სახსრებით, საინფორმაციო ბანერის დამზადების** სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია ცხრილში მითითებული საინფორმაციო ბანერის შესყიდვა:

დასახელება, (ტექნიკური სპეციფიკაციები)	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
ბანერი (ზომები 15 X 1.5მ 22.5 კვმ.)	39294100	22.5 კვმ.	40	270
ლუვერსი	39294100	32	0,8	25,60

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 295,60 (ორასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N49. ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4 საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით
ვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია,
წვეული ექსპერტი - ზურაბ ცაციაშვილი.
5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია
წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული
შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება
აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო
ანგარიშსწორებით, ლარებში.
6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და
აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15
(თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.
6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით
გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ
პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებ
ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლო
გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდ
გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვ
ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებ
განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათ
გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინა
შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვ
უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურ
რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულ
შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირ
გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის
ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკის
პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დ
ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი აღგილი
ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულ
შეუსრულებელი ნაწილის 0.5 %-ს.
8.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდ
ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებ

ჯარიმებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ერთმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ პექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, ქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

4.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი''

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი გამზ.49
ს.კ 205304357;
საბანკო რეკვიზიტები
ს.ს. ბანკი ქართუ
GE89CR0000000000623408
კოდი: CRTUGE22

რექტორის მ.შ.

ჯემალ [illegible]

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შპს Creative Group

ს.კ. 404921803

საქართველო, თბილისი,
ა. წერეთლის გამზ 197

საბანკო ანგარიში:
ს.ს "თი ბი სი ბანკი"

მფო კოდი: TBCBGE22

ა/ა ***GE17TB7591336080100002***

(ხელმოწერა)

მიღება–ჩაბარების

ა ქ ტ ი № 68

29 დეკემბერი 2014 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ჯემალ ძაგანიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „Creative Group" (შემდგომში – შემსრულებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ სურმავას სახით ინსპექტირების გამწევი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე ვადგენთ აქტს მასზედ, რომ შემსრულებელმა შეასრულა 2014 წლის 24 სექტემბერს №68 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანერის მიწოდება და შესაბამისად აუნაზღაურდება მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული.

295.60 (ორასოცხმოცდათხუთმეტი და სამოცი თეთრი) ლარი.

რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით.

ხელმოწერები:

„შემსყიდველის" სახელით:

ზ. ცაციაშვილი

„შემსრულებლის" სახელით:

ა. სურმავა

საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის
სახელმწიფო უნივერსიტეტი რექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ჯ. ძაგანია

ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა №68

29 სექტემბერი 2014წ.

განვახორციელე ინსპექტირება სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის" და შპს "Creative Group" ს შორის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2014 წლის 24 სექტემბერს გაფორმებულ №68 ხელშეკრულებაზე, რის საფუძველზეც შესრულებულ იქნა 295,60 ლარის:

ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანერის მიწოდება.

ზურიკო ცაციაშვილმა ინსპექტირების შედეგად

დავასკვენი:

1. ზემოთ აღნიშნული ბანერი შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.
2. მომწოდებლმა შეასრულა აღნიშნული ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება და აღნიშნული საქონლის მოწოდებულ იქნა მითითებული ვადების დაცვით.

ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი:

ექსპერტი ტექნიკურ სამშენებლო საკითხებში

ზურიკო ცაციაშვილი ----------